№ 56 | 6 თიბათვეს, კვირა | 1866—1876 | 6 თიბათვეს, კვირა | № 56

# დროება

**რედაქცია**

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

**ხელის-მოწერა**

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".

**გაზეთის ფასი**

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

**განცხადება**

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

**განცხადების ფასი**

დიდი ასოებით. ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს. რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებს. დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო

### განა „საჭირო" „უდროოა?"

გუშინწინ აკაკი ამტკიცებდა „დროებაში", რომ ის ბრძოლა, რომელიც „თფილისის მოამბეში" ატყდა უფ. ილია ჭავჭავაძესა და ჩემს შუა უდროოა და მტერს გულს გაუხარებსო. ეს აზრი მე მიმაჩნია ჩვენი მკითხველების სრულ ყურადღების ღირსად, და ამის გამო საჭიროა, რომ მკითხველს საშუალება მიეცეს ყველა მხრიდამ გასინჯოს ეს კითხვა, რომ ჭეშმარიტი და ბეჯითი აზრის შედგენა შეეძლოს ამ საქმეზე.

მგონია, რომ ამ მეტის-მეტად მძიმე კითხვის გასარჩეველათ უფრო სასარგებლო იქნება, რომ ამ ჩემს სტატიაში განზე დავტოვოთ ის საგანი და ის პირები, რომელზედაც და რომელთ შუა ბრძოლა წარმოებს. ეს კითხვა ჩვენ უნდა გავსინჯოთ პრინციპიალურათ, ამიტომ რომ მისი გამოკვლევა საჭიროა ჩვენი ახალგაზრდობის და საზოგადოების მომავალი მოქმედებისთვის. და ამ გვარ პრინციპიალურს გასინჯვას, ცხადია, ხელს შეუშლის და დაბრკოლებს პირადი და მწუთიერი კითხვების დართვა ბანკზე, უფ. ჭავჭავაძეზე და ჩემს ნაწერზე.

კითხვა აი როგორ სდგას:

ჩვენ ვშრომობთ, რამოდენიმე — ოცი, თუ ასი, თუ ათასი — კაცი, ჩვენი საზოგადოების სასარგებლოთ. აქ ჩვენს საზოგადოებას ჰყავს მტერები. მაშასადამე, ამბობს აკაკი, არ ვარგა, რომ მტერებს გარდა, ჩვენ კიდევ ერთმანეთში-აც ბრძოლა და უთანხმოება ვიქონიოთ. ეს ჩვენ თვითონ გვასუსტებს და ჩვენ მტერებს ძალას უმატებსო.

ჩემის მხრით, მე მგონია, რომ ამ გვარი მოქმედება საჭიროა ყოველთვის კი არა, მარტო მაშინ, როცა ბრძოლა გარეშე მტერთან მართლა და ნამდვილათ გამართულია, ბრძოლის ველზე, მართლაც, შეუძლებელი და საძაგელი საქმე იქნება რომ რაზმში უთანხმოება მოხდეს, და რაზმმა მტერთან ბრძოლის მაგიერ, ერთმანეთს დაუშინოს თოფ-იარაღი. მაგრამ მშვიდობიანობის დროს, როცა ჩვენ ვემზადებით მტერის წინააღმდეგ რაზმის დაიარაღებას, შეუძლებელი და უმსგავსო საქმეა, რომ ბაასი და ბრძოლა არ ატყდეს სხვა და სხვა ამხანაგებს შუა — იმ კითხვებზე თუ როგორ ემჯობინება იარაღის დამზადება ან ხმარება.

დისციპლინა იმას კი არ თხოულობს, რომ ყველა ამხანაგების გონება და აზრი ნიადაგ დახშული და დამალული იყოს; იმას თხოულობს, რომ ბრძოლის დღეს, რაკი ამხანაგობა ერთს აზრს დაადგება, ერთს გზას აირჩევს და ერთს მოთავეს გაჰყვება, ყველამ ამ აზრს დაეხმაროს, ამ გზას დაადგეს და ამ მოთავეს მხარი გაუმაგროს. ყოვლად შეუძლებელია საზოგადობრივი წარმოება და საზოგადო აზრის გაუკეთესება, თუ ჩვენ დისციპლინად იმას მივიღებთ, რომ გავჩუმდეთ, ხმას ნუ ამოვიღებთ, მტერი გვიცქერს და გაიხარებსო. ჩვენ სხვანაირი გახარების უნდა გვეშინოდეს მტერის მხრით, იმ გახარების, რომელიც წარმოებს ჩვენი აზრის სისუსტისაგან და ჩვენი რაზმის უხეირო წაყვან-წამოყვანისაგან....

ჩვენში ბევრია ისეთი ყმაწვილები, რომელნიც სარგებლობენ ამ ჩვენი მდგომარეობით და ამ საჭიროებით: „სუ, ხმას ნუ ამოიღებთო!" ეს ყმაწვილები დღესაც იმ აზრებს და სიტყვებს იმეორებენ, რომელნიც სწავლაში და ქვეყანაში ამ ოცი წლის წინეთ იყვნენ მიღებული. ჩვენი მტრები წინ წავიდენ, წარმატებაში შევიდენ, დაძლიერდნენ, და ჩვენ კი უძრაოთ უნდა ვიჯდეთ, ხმას არ უნდა ვიღებდეთ, გაჩუმებულნი უნდა უცქეროდეთ ჩვენს სისუსტეს და უხეირობას? რა გამოვა ამისგან? ის, რომ ნამდვილი ბრძოლის დღეს ჩვენ უაზრონი და სუსტნი ვიქნებით, შეცდომებში ჩავარდებით, მაშინ, როდესაც მტერი აზრ-ნათლიანი და გონიერი იქნება.... ეს უნდა ვქნათ, განა?

არა. ყოველ გონიერ კაცს ჩვენში მოვალეობა აქვს არ დაუფაროს თავის საზოგადოებას აზრი და შეხედულობა საზოგადო საჭიროებაზედ და საქმეებზე. ამხანაგობაში ამ გვარი აზრი უნდა გამოითქვას, თავისუფლათ, მოურიდებლათ; ეს არავისთვის საწყენი და სათაკილო არ უნდა იქნეს. და როცა ამ ამხანაგობაში ზოგიერთები იმას დაიჯინებენ, რომ ჩვენ შეუცდომელნი ვართო, რომის პაპასავით, რომ ჩვენს აზრს და შეხედულობას ნურვინ დაიწუნებსო, გინდ ვცდებოდეთ, გინდ საქმეს ვახდენდეთ და ქვეყანას ვაბრკოლებდეთ, ყველანი დაჩუმდნენ და ყველამ ტაში დაგვიკრასო, — ეს დისციპლინა კი არ არის, ეს დესპოტიზმი და ხვანთქრობაა. ამას ადვილათ დაემორჩილება მონა, და არა გონიერი კაცი.

## ფელეტონი

### ალექსი

საყმაწვილო ზღაპარი

### თავი III *)

უზრუნველათა
მწვანე ველათა
დანავარდობდა სიამით ცხვარი;
სჭამდა, სცხოვრებდა
და ცივ წყალს ხვრეპდა....
ფეხით გაჰქონდა სულ მთა და ბარი.

—

ვის რას უყოფდა!
მით ამაყობდა,
რომ კარგი კუთხე ბედმა მას მისცა;
და, ისე ხლტოდა,
როგორც უნდოდა...
ცა ქუდათ აჩნდა, ქალამნად მიწა!!

—

მაგრამ ერთს დღეს კი
აკვნიტეს ნეკი,
როდესაც ქორათ მოჰკრა მან ყური,
რომ სხვა მხეცებსა,
მის მეზობლებსა
გულში შესვლიათ საბრალოს შური;

—

დიდად კვირობენ
და უპირობენ
ძლით საბრალოს დამონებასა,
თუ რომ სურვილით
და სიტყვით ტკბილით
თვითონ არ დაჰყვა იმათ ნებასა!

—

ჯერ თავ მომწონე
ამის გამგონე
საბრალო ცხვარი მეტად დაღონდა..
სთქვა: „ა გაჭირვა!"
ბევრი იფიქრა
და ბოლოს ხერხით მას მოაგონდა:

—

ის სამფლობელო,
მისი სამშობლო,
სადაც კი თვალი მიუწვდებოდა,
ყოველის კუთხით,
ბალავნით, ციხით
შეჰკრა... მტერი ვერ მოუხტებოდა!..

—

და შემდეგ მარად
ის უშიშარად
აბუჩა სტუმრებს მარჯვედ უცდიდა,
და თავის გულში
დამშვიდებულში
მოსისხარ მტერებს პამპულად ხდიდა!

—

ერთხელ ვით მტევრი
მოადგა მტერი.
მაგრამ რა ნახეს გამაგრებული,
გაჰკვირდენ მეტად;
შეიქმნენ რეტად.
რა მოულოდნად დასწყდათ მათ გული.

—

ვერრა გააწყვეს.
ამოიძუეს...
დაბრუნდენ სახლში ბილწი მხეცები,
და ცხვარმაც საგზლად
ხშირად და ხან-გრძლად
თან გაატანა იმათ ბრაწები!

—

უფრო დიდებით
და დამშვიდებით
ამ საქმეს შემდეგ ცხვარი სცხოვრებდა,
და ის სხვა ცხოველებს
ვერც დათვებს, ვერც მგლებს
ძალით მომსვლელად ვერ უყურებდა!

—

ხანი გამოხდა,
ცვლილება მოხდა:
ეტკინა საწყალ ჩვენ ცხვარს მუცელი..
დასვა კრავები
ნიკორ — შავები,
და გასაზრდელათ მიჰყო მათ ხელი.

—

ძუძუს სწოვდენ,
სხვას არას სთხოვდენ
დედას, დასდევდენ და ნავარდობდენ.
სილამაზითა
და სინაზითა,
ასე გასინჯეთ, ერთმანერთს სჯობდენ.

—

ჭკუა-გონება,
დიდი ქონება —
რაც ცხვრის წრაზედ კი შეიძლება —
იმათაც ჰქონდათ.
თავი მოსწონდათ.
აკლდათ მათ მხოლოდ გამოცდილება.

—

მაგრამ ეს ნიჭი,
ცხოვრების ბიჯი,
დედის მუცლიდამ არვის დაჰყვება!
ცრემლ-ნაღვლელითა,
გულის მწველითა
ის მხოლოდ შემდეგ მოიპოვება!

—

და ერთხელ ვინცა
მას ხარკი მისცა,
ჭმუნვის ბეჭედი აზის მის სახეს;
და რაც პირველად
სჩნდა სასურველად,
ბოლოს იქ ჰგონებს საფრთხეს და მახეს

—

### თავი IV

ხარბი რამ არი
და უმაძღარი
ვნებითა სრული, ალმშფოთი გული:
რაც რომ ჩვენია,
მოსაწყენია
და რაც არა გვაქვს, — მიგვიდის სული

—

მწარისა ოხვრით
და ცრემლების ღვრით

*) პირველი ორი თავი ამ მშვენიერი ზღაპრისა დაბეჭდილი იყო 1871 წლის „მნათობში", მარტის წიგნში

ჯვ ჩვენ რიცხვით, ძალით ღონობი ერაფერს ვერასოდეს ვერ გავიტანთ, და თუნდ გავიტანოთ, ვაი იმისთანა გატანას. ჩვენი წინააღმდეგნი და მტრები რიცხვით და ძალით ათასჯერ უფრო მეტნი და ძლიერნი არიან ჩვენზე. ერთი იარაღი გვაქვს ჩვენ, მარტო ერთი,—აზრის სისწორე, სინიდისის სიმართლე, გონიერება, საქმის სიწმინდე. მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ გავიმარჯვოთ, შემდეგში, მოავალში, როდესმე. მაშ ჩვენ უმანკოთ და გაუსვრელათ უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხოლოდი იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტერნი, რიცხვით და ძალით ძლიერნი, ჩვენს წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკურათ და ზნეობითაც დაღუპული იქნება.

ქვეყანა იმოდენათ ბრმა და ყრუ როდია, რომ ჩვენი შეცდომები ან უხეირობა ვერ დაინახოს თვითონ, ჩვენ რომ ამაებზე მუნჯებსავით გავჩუმდეთ. სირაქლემივით ჩვენ რომ თავი ბუჩქებში დავმალოთ, მტერი მაინც დაგვინახავს და მაინც დაგვამარცხებს. ათასჯერ და ათი-ათასჯერ სჯობია, რომ ჩვენ ჩვენი თავი გავიცნოთ, ჩვენი სისუსტე გამოვიკვლიოთ, ჩვენი სიმრუდე თვითონვე გავისწოროთ, და მაშინ უფრო ძლიერნი ვიქნებით მტრის წინააღმდეგ, ვინემ დღესა ვართ....

მოვიყვან მაგალითს, რომელიც გვარიანათ შეეფერება ჩვენს მდგომარეობას. განა როცა ჯარი საომრათ გადის, მტრის სიახლოვე და ბრძოლის საჭიროება ჯარში სამართალს სპობს? რაგინდ ახლოს იყოს მტერი და რაგინდ მოახლოვებული იყოს ბრძოლა, ის მეომარი, რომელიც ცდება ან კანონს დაარღვევს, ან რომელსამე სხვა დანაშაულობას ჩაიდენს, იმას სამართალში მისცემენ, მის მოქმედებას გამოიძიებენ და ან გაამართლებენ, ან სასტიკათ დასჯიან. ასე რომ არ იყოს, ჯარი გაირყვნება და უფროსების უსამართლობას და უხეირობას ბოლო აღარ მიეცემოდა..

ჩვენ, მართალია, სალდათები არა ვართ, მაგრამ მით უფრო უნდა ვცდილობდეთ, რომ არც ერთი ჩვენგანი არ შეიქნეს უაზრო იარაღათ სხვის ხელში, როცა ამ სხვას ამოქმედებს არა საზოგადო სიკეთე და ქვეყნის გონიერი სიყვარული, არამედ ავათმყოფურად გასივებული თავმოყვარეობა... დღემდი მე ბევრჯერ გავჩუმებულვარ იმავე აზრის ხელმძღვანელობით, ბევრჯერ დამიფარავს ამხანაგების შეცთომა, ბევრჯერ დამიხუჭავს თვალი წვრილმან უხეირობაზე, იმ აზრის მიხედვით, რომ უმთავრესს აზრებში და მიზნებში ჩვენ ხომ ერთნი ვართო. მაგრამ გამოდის რომ ხანდისხან არც ამ უმთავრეს მიზნებს რგებია რამე ამ გაჩუმებისაგან, გამოდის რომ ჩემს გაჩუმებას თუ წაუხდენია საქმე, თორემ არა გაუკეთებია რა. რათ ვატყუოთ ქვეყანა, რათ აუხვიოთ მტერსა და მოყვარეს თვალი? მტერი ჩვენ მაინც არ გვიჯერის და თვითონ ცდილობს ჩვენი გარემოების შეტყობას, და მოყვარენი კი ჩვენ შეცთომაში შეგვყავს და ბრმათ გამოგვყავს.

კმარა ამდენი თმენა. თითოეულმა ჩვენგანმა მარჯვეთ და პირ-და-პირ სთქვას თავისი აზრი, თავისი შეხედულობა, დაიცვას თავისი მიმართულობა და დაარღვიოს სხვისი შეცთომა ან უხეირობა. საზოგადოება და ახალგაზდობა დაინახავს მაშინ სიმართლეს, და იქნება, როცა დაინახავს, თავის საკუთარს გზას გამოსძებნის და თავის საკუთარ ჭკუით გაივლის, ახალი გზით. ყველა მებრძოლების განზე დატოვებით. დიდი ხანია ნათქვამია, რომ ჭეშმარიტება გამოიჭვრეტს აზრების შეტაკებისაგანო. და გამოჩნდეს ეს ჭეშმარიტება; მარტო ამით შეგვიძლიან ჩვენ, ჩვენს მდგომარეობაში, სარგებლობის მოტანა ჩვენი ახალგაზდობის, საზოგადოებისა და ქვეყნისათვის.

ამას მოითხოვს ჩვენგან ჩვენი მოვალეობა, თუ ჩვენ ნამდვილათ ვემსახურებით ჩვენს ქვეყანას, და არა პეტრეს, პავლეს, ან ონიკეს, ესე იგი ჭავჭავაძეს, მესხს, წერეთელს, ნიკოლაძეს და სხვ.

ნ. ნიკოლაძე

---

## დღიური

ამ დღეებში გამოვა ახლად დაბეჭდილი ქართული სახარება, რომელსაც უფ. სტ. მელიქიშვილი აბეჭდინებს თავის სტამბაში. პატარა, მაგრამ ძლიერ ლამაზი და ყველა აღრინდელ სახარებებზე უფრო იაფი გამოცემა იქნება ეს სახარება: თითო წიგნი თათო აბაზად ეღირება.

* * *

ჯერ უწვიმობას უჩიოდნენ თითქმის ყოველი მხრით; ახლა კი ერთობ მომეტებულ წვიმებსა და ავდარს უჩივიან. გურიას გარდა, რომლის ამბავი წარსულ ნომერში იყო მოყვანილი, ამჟამად ჩვენ მოგვივიდა ზემო-იმერეთიდამ ამბავი, რომ მაისის 26-იდამ, რამდენიმე დღის განმავალობაში, ისეთი ქარიშხალი, წვიმა და სეტყვა ყოფილა, რომ რაც კი რამ დათესილი ყოფილა, ყველაფერი გაუფუჭებია, ხეხილების ტოტები დაუმტვრევია და სოფლის გზები და ხიდები წაულეკავს.

* * *

ოზურგეთიდამ გვატყობინებენ ერთ ამბავს, რომლიდამაც შეიტყობთ—თუ რა მგომარეობაში არის ამჟამად ოსმალეთის ჯარი:

ერთს ქობულეთელ ოსმალოს აფიცერს გურიაში პალტო გამოუგზავნია გასასყიდლად და როცა უკითხავსთ მიზეზი, უთქვამს, ეს რამდენიმე თვეა, რაც ჯამაგირი არ მიგვიღია, შიმშილით ვკვდები და პალტოც ამიტომ გავგზავნე, რომ გავყიდო და ცოტა ფულით სული მოვიბრუნოო.

* * *

აქედამვე გვწერენ, რომ მას აქეთ, რაც აქედამ თ. ანტონ ნაკაშიძე გადაიყვანეს ფოთს, გურიის სასოფლო შკოლები ძალიან ცუდს მდგომარეობაში არისო; მასწავლებლებს თავის დროზე ჯამაგირი არ ეძლევათ, თვითონ შკოლებს წიგნები და სხვა საჭირო ნივთები არა აქვსო და სხვ. სანამ თ. ა. ნაკაშიძე იყო აქ, მინამ ყველაფერზე ის ზრუნავდა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ 7 შკოლას, რომელნიც იმის თაოსნობით გაიმართნენ და იმის შემწეობით არსებობდნენო.

* * *

ყოველ შემოდგომაზე იწყება ხოლმე აჭარლების თავსდასხმა ახალციხის მაზრაზე დაგანსაკუთრებით აბას-

---

როს ავისრულებთ ჩვენერთს სურვილს
კიდევ სხვას ახალს
გული იჩენს ალს
და არ გვასვენებს კრულსა და ურვილს.

—

ჩვენს ნაცნობ ცხვარსა
შეუპოვარსა
მოსწყინდა მალე ის არე-მარე,
და მოსაძოვრად,
ნეკრის საშოვრად
გადაიბიჯა გალავანს გარე!

—

და ის კრავები
საცოდავები
გალავანს შიგნით მარტოთ დაჰყარა!..
მაგრამ იმავ დროს,
უფროსს და უმცროსს,
ორივე შვილებს ეს დაუბარა:

—

„ჩუმათ! ნუ ბღავით,
„ფრთხილათ იყავით.
„დაკეტეთ კარი, არ ვის გაუღოთ!
„მარტო რომ გნახონ,
„არ მოგატყუონ
ჩემმა მტერებმა, არ დაგიღუპოთ!..

—

„მე როცა მოვალ,
„ყველაზედ უმალ
„სამჯერ „ბე“-ს ვიტყვი და „ბეკეკესა“,
„და მით მიხვდით,
„კარებს მოახტით,
„ჩქარა გამიღეთ და გაჭმევთ რძესა!“

—

ამგვარად ცხვარმა
გულ-უმაძღარმა,
კრავებს ეს სიტყვა რა დაუბარა,
მინდორი გაელო,
მთებიც გადაელო,
მოუხედავად გასწია ჩქარა!

—

უღდურათა,
უძუძურათა
დარჩენ კრავები და მოიწყინეს.
ვერც იკუნტრუშეს,
ვერც ინუგეშეს,
მიწვენ ჩრდილოში და დაიძინეს.

—

მათს ძილში მგელი
ის საძაგელი
მიადგა კარებს, ეცა რა სუნი!..
„ერთი მანუცრეთ!“
იზუვლა მწარეთ
და დაუწყო კარს ჩქარა კაკუნი.

—

დაუფრთხათ ძილი
მაგარი, ტკბილი
ამ ხმაურობით პატარა კრავებს;
და რომ წამოხტენ,
მაშინვე მიხვდენ,
რომ აბრიყვებდა ვილაც მათ მტრობით.

—

მიცვინდენ კარზედ,
მაგრამ უარზედ
დადგენ და აღარ გაუღეს კარი.
„ვინღაცა ხარო,
„თუ დედა ხარო,
„აბა ნიშანი შენი გვითხარი!...“

—

კუდ-გძელმა მგელმა
იმ საზარელმა
მოსატყუებლად შიექნა ძუილი;
მაგრამ კრავებმა ნიკორაებმა,
იცნეს და უთხრეს მათს მტერს:
„ტყუილი!

—

„გსურს გაგვაბრიყვო?!
„დედა რომ იყო,
„სამჯერ იტყოდი „ბეს და ბეკეკეს!“
„ჩვენც მივხვდებოდით,
„კარს მივხტებოდით,
„გაგიღებდით და შენც გვაჭმევდი რძეს!

—

„შენ დედა არ ხარ,
„სხვა გვარად ჰყარხარ;
„საიდამაც მოხველ, იქვე წადიო!“
მგელი დაღონდა,
რაღა გზა ჰქონდა!
სთქვა: „დამეკარგა დილის მწვადიო!“

—

„ახლა ამ კრავებს
„ეშმაკებს, ავებს
„ვერ მოვატყუებ, წახდა ფციო!
„მაგრამ მეორეთ
„შევაცდენ სწორეთ,
„რადგანც ნიშანი მათი ვიციო!“

—

მართლაც მეორეთ
დაბრუნდა სწორედ
სამხრობის დროზედ, კარი მონახა.
ასუნ-დასუნა,
დაუკაკუნა,
„ბე“ და „ბეკეკე“ სამჯერ დასძახა.

—

მაშინ კრავები
საცოდავები
მოსტყუვდენ და წამს გაუღეს კარი.
და ვაი მათს მტერს:
მგელს შეხვდენ მშიერს;
ორნივ ჩაყლაპა მგელმა უმწვარი.

—

და გამძღარი,
არ-გასახარი
მგელი წავიდა სახლში ძუნძულით;
და ის გძელ-კუდა
როგორც რომ გუდა
გამოიბერა მუცლით და გულით.

(გაგრძელება შემდეგ №-ში)

აკაკი

ტუმნის ახლო-მახლო სოფლებში. აი ახლაც ჩვენი ახალციხელი კორრესპონდენტი გვწერს, რომ „ამ აბასტუმნის მთები აღყვავებოდნენ და ხეები ფოთლებს გამოიღებდნენ, მათ მაგივრად აჭარლები ამოცვნდნენ და იწყეს გროვ-გროვად სიარული და გაინაწილეს ერთმანეთში აბასტუმნის ტყეები და მთები. ამას წინათ თორმეტი აჭარელი დაეცა ტყის მცველებს, სულობით გასტყვლეს და ისე გამოისტუმრეს. შემდეგ ქუთაისიდამ მომავალ სამ ბერძენს დაეცნენ, თოფის სროლა შეექმნათ და ერთი ამ ბერძენთაგანი ახლაც დაკარგულია."

* * *

„ტფილისის მოამბეში" შემდეგ ამბავს იწერებიან ფოთიდამ: „26 მაისს ფოთის მოქალაქეები შეიკრიბნენ აქაურს ეკკლესიაში და მოლაპარაკება ჰქონდათ იმაზე: გაამართლა თუარა დეპუტატმა სარდაროვმა ის მინდობილობა, რომელიც იმას საზოგადოებისაგან ჰქონდა, როგორც დეპუტატს? მოქალაქეებმა განიხილეს იმის სამსახური და მოქმედება და ერთხმად (ერთის კაცს გარდა) გადაწყვიტეს, რომ იმან ვერ შეასრულა რიგიანათ ეს მოვალეობა და ამის გამო შემდეგი განჩინება დასდვეს: ჯერ წინადადება მისცეთ უფ. სარდაროვს, რომ თავის ნებით გამოვიდეს დეპუტატობიდამ, და თუ ამას არ იქს, მაშინ ყველა მოქალაქენი შეიკრიბნენ პოლიციაში და საზოგადო განჩინება დასდვან, რომ ის გამორიცხულია ქალაქის დეპუტატობისაგან და ეს განჩინება მთავრობას წარუდგინოთ დასამტკიცებლად."

* * *

ამავე გაზეთში იწერებიან, რომ ფოთი-ტფილისის რკინის გზის გამგეობამ ყველა მუშაობა, რაც ამ გზაზე იყო შესასრულებელი, ერთს მეიჯარადრეს უფ. კრასნოვს მიანდოო, რომელსაც ბევრი-ბერძნები და ქართველები ჰყავდა დაჭერილიო; მაგრამ ამ კაცს არცერთხელ არ დაუკმაყოფილებია ეს მუშებიო. ეს კრასნოვი ნახევარ ჯამაგირსაც არ აძლევს თურმე ხსენებულ მუშებს, ასე რომ მომეტებულ ნაწილ იმათგანს საქმე საჩივლელად გაუხდაო.

## „დროების" კორრესპონდენცია

**შავშეთი**, 19 მაისს. ჩვენი საზოგადოების (ჩიბირის ვალიეტის) ყველა წოდებანი შეიკრიბნენ, რათა მოილაპარაკონ იმ შეწუხებაზედ, რომელიც ადგილობრივი ცუდი მთავრობისაგან გვაქვს მოყენებული.

რამდენჯერმე მივმართეთ ჩვენ არდანუჯის კაიმაკამს, ოლთის მუთასერიფს და აგრეთვე აქაურს მუდირს, მაგრამ ამათ არ ათხოვეს ყური ჩვენს მდგომარეობას.

ყველაფერს გვართმევენ: პურს, ქერს და სხვა ყველაფერს, რაც გაგვაჩნია. ერთიღა სული დაგვრჩენია და იმასაც მალე ამოგვაძრობენ. ჩვენი ქობედური მდგომარეობა იციან აგრეთვე აჭარაში და ქობულეთს.

ყველაზე უფრო ჩვენ ხარჯის-ამკრებლები გვაწუხებენ. დღემდი წელიწადში ერთხელ ვაძლევდით სახელმწიფო ხარჯსა; ახლა კი ორჯერ გვახდევინებენ. ერთხელ თუ გვეჭირდა, ორჯერ როგორ შევიძლებთ? მაგრამ ჩვენი ჯარჯის ამკრებლებისთვის სულ ერთია — გვაქვს ჩვენ ღონის-ძიება, თუ არა. უნდა გადაიხადოთო.

გადასახადის აკრების დროს არაფერს არ ზოგვენ: ამტვრევენ ხეხილებს, გვიფუჭებენ ბაღებს, მიაქვთ სახლიდამ ავეჯეულობა, — ერთის სიტყვით, გვარბევენ.

ამგვარმა შევიწროებამ იძულებული გაგვხადა, რომ უმაღლესს მთავრობისათვის მიგვემართნა არზრუმს და ბათუმს. ჩვენი კაცები გავგზავნეთ. მაგრამ ერთი იმათგანი გზაზედ დასჭრეს და გაცარცვეს. სხვები შეშინდნენ, რომ ესევე ბედი მოგველის ჩვენცაო, სახლ-კარს გადაგვიწვავენ და ცოლშვილს გაგვიუპატიურებენო და ამისგამო შინ დაბრუნდენ: ველარ წავიდნენ, საცა გავგზავნეთ.

უშიშრად ჩვენს გზებზე ვერ გაუვლია კაცს. ყველგან ყაჩაღების დახვედრას უნდა მოელოდეთ. ხაზინა ყოველ ოჯახზე ხუთ პიასტრს გვახდევინებს ვითომ იმისთვის, რომ გზის-მცველები დააყენოს; მაგრამ ყაჩაღების დაჭერას კაცი არ ფიქრობს. ეს გზის-მცველები თვითონ უარესად გვაწუხებენ: სოფელ-სოფელ დაიარებიან, ქეიფობენ და თუ ყველაფერი მზა მზარეულად არ დავახვედრეთ, ძალით წაგვართმევენ. შარშან კი მცველები მარჯვეთ იყვნენ, რადგან იმათი უფროსი — არზრუმიდამ გამოგზავნილი ჩაუში — ძლიერ პატიოსანი კაცი იყო, ჩვენს მდგომარეობას ხედავდა და ხშირად ხარჯის-ამკრებლების შევიწროებისგანაც გვიფარავდა ხოლმე. მაგრამ ეს ჩაუში გარდაიყვანეს: კარგ კაცს აქ არ დააყენებენ.

აი ამისთანაა ჩვენი მდგომარეობა. მმართებლობა ჩვენ არავითარ ყურადღებას არ გვაქცევს, კანონი არა სჩანს და აქაური ჩვენი უფროსები კი სულს გვაძრობენ, გვტანჯვენ და გვარბევენ.

სათლელის რაბათის მცხოვრები

**ქიზიყი**, 31 მაისს. „მიკვირს და გამკვირვებია" ამ ქიზიყის ხალხის (გლეხობის) ამბავი! ზოგჯერ განცვიფრებაში მოვყევარ ამათ მოკლე უსაფუძვლო მსჯელობას და ცუდ, ახირებულ შეხედულებას რომელსამე საგანზედ. ავიღოთ, მაგალითად, შკოლები, ეს განათლებისა და კაცობრიობის გამაუმჯობესებელი წყაროები, და შევხედოთ, როგორის თვალით უყურებენ და რა აზრისა არიან ქიზიყელები. მოგეხსენებათ, რომ ეს მოკლე ხანია აქაც გაიმართა და იმართება სასოფლო სასწავლებლები. ჩვენ უნდა სიხარულით „ცერებზედ დავხტოდეთ," უნდა ყოველ ღონის-ძიებას ვხმარობდეთ, მივსცეთ, რითაც შეგვიძლიან, შემწეობა ამ საქმეს, რომ იქნება ცოტ-ცოტათი წინ-წინ წაიწიოს, და ეგრეც არის, მგონი, სხვა უეზდებში?

აქა? აქ, სამწუხაროთ, სულ უკულმა არის.... არაფერ მავნებელ საგანს არ უყურებენ ისეთი ბოროტებით, როგორც შკოლას; არაფერ საქმეს არ აგდებენ ისე უხეიროთ, უსარგებლოთ და უკანასკნელათ, როგორც შკოლისას. აქაური სოფლის მასწავლებლები უბრალო მოჯამაგირეებზედ ნაკლებ ითვლება ამათგან: სოფლის ნალბანდს, დალაქს, ან სხვა ეგეთ მოხელეებს უფრო პატივს, ღირსებას აძლევენ, მინამ ამათ.— — მაგრამ ამან თქვენი ჭირი წაიღოს, — დეე, იყვნენ მასწავლებლები უპატივცემულნი, ოღონდ მხოლოთ იმითი სცენ პატივი, რომ მზა-მზარეულ შკოლაში ყმაწვილები მიიყვანონ; — მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, — ამ უკანასკნელით უფრო უპატივცემულებს ვხედავ აქაურ მასწავლებლებს.

ორი-სამი სოფელი ვიცი აქ, საცა გაიხსნა შკოლები, მასწავლებლებიაც, რასაკვირველია, მოვიდნენ და თხოულობენ ყმაწვილებს, მაგრამ რას ვხედავთ? პირველათ თითქმის არავინ არ აპირებდა იქ ყმაწვილების შეყვანას: ერთი მეორეს უყურებდა, მეორე მესამესა და სხვ. მერე, ააშენა ღმერთმა, ზოგიერთ მღვდლებმა თუ სხვა ნასწავლმა ხალხმა მიიყვანეს შვილები; ამათი მაგალითი სხვებმაც მიიღეს, მაგრამ ძრიელ ცოტამ; — ასე რომ ეხლა თითო შკოლაში (მე მარტო სამ შკოლაზე ვამბობ) ბევრი-ბევრი ოც-ოც-და-ათი შაგირდი თუ იქნება კიდევ კარგია და ესენიც ხან დადიან, ხან არა....

ეხლა ავიღოთ შკოლის შემდეგ მეორე სასარგებლო საქმე, — ბანკი ანუ გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა და გადავავლოთ თვალი, ამაზედ რაღას ამბობს ხალხი? მაგრამ დამეხსენით, ამაზედ ნულარას მათქმევინებთ. რო ქიზიყელმა გაიგონოს, ქოქოლას მომაყრის. რათა? ის მე ვიცი.... მაგრამ ეს დარჩეს!.... აქ ბანკს ვინ იფიქრებს! ვისაც „ჯიბეში უკნავის," იმას ყელი გამოსჭერი და ბანკის გახსნა ურჩიე; — ვისაც „ჯიბეში თაგვები უთამაშებს", აბა იმას ბანკის თავი სად აქვს, შენ გენაცვალე? პირველებს „ის უნდათ," რომ თავიანთი თუმანი გაათოხ-ხუთ თუმნონ, და ბანკი ხო იმათი დამღუპველი მოვლენა იქნება?... ამას თავი დავანებოთ და ისევ შკოლაზედ ორიოდე სიტყვაც.

თუ ნებას მომცემთ, ერთ პატარა სცენას მოვიყვან აქა, რომელიც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, სიტყვა-სიტყვაზედაც რომ აიღოთ, ერთ ტყუილს არ გეტყვისთ, და რომლიდამაც აშკარათ გაიგებთ, თუ როგორი აზრისანი არიან აქაურები სწავლაზედ და რატომ არიან ამ გვარის აზრისანი.

კვირა დღეა. ერთსოფლის მოედანზედ შეყრილან რამოდენიმე კაცები და დედაკაცები, რომლებიც მასლაათობენ მთისა და ბარის ამბავზედ. ამ დროს იმათ შორი-ახლოს გაივლის ერთი სოფლის მასწავლებელი. შეიქნება ჩურჩული:

— აანგე, კაცო, [illegible] სად მიდის!

ბიბლიოთეკა

— უი, ქა, ეგ არის უჩიტელი?!...

— იიი, დიდება შენთვის ღმერთო! ე რა მოიგონეს, კაცო? სად იყო ადრე ეგრე უჩიტლობა, რომ ეხლა გადმოცვივნულან სარსარაკებივით?!... რას არ მოესწრება კაცი! ვინ იფიქრებდა, რომ ჩვენ ქვეყანაში ეგრე უცხო უჩიტლები მოვიდოდნენ?!..

— აი, ვენაცვალე მაგათ ღმერთს და მაგათ გამამგზავნს! აბა ეხლა მოვა კაი დრო, რომ გაგვიწრთვნიან ბიჭებს, აი!

— კაცებო, ე ოჰტატები რო გამოგვიგზავნეს ბიჭების გასაწურთნათ, რაღაც საწაული უნდა გაიმართოო, რა ვქნა, ვერა გამიგია, როგორაა საქმე!? ორი ბიჭი მყავ — წავასხა, ვაითუ ბოლოს ფინთათ მოვიდეს საქმე! აა? თქვენ რას მირჩევთ, კაცებო?

— რა უნდა გირჩიოთ, კაცო, საქმე ხო არ შემოგლევია, რომ მაგეებს ამბობ? თუ მოძულებული გყავს შვილები, წაასხი, თუ არა და სახლში დააგდე, რამე გაგიკეთონ... ბიჟი ვარ, იქ შვილები მივცე! რაა? რა ჩემი შვილის საქმეა სწავლა? მეც უსწავლელი კაცი ვარ, მარა ლუკმა-პური მაქვს, მადლობა ღმერთს ჩემი შვილიც იგეთი გამოვიდეს ნეტაი. როგორიც მე და მეტი არ მინდა.

— შენმა სიცოცხლემ, შენისთანა თუ გამოვიდა, აშენდები, მეტი რაღა გინდა. შენც კარგი ინატრე...

— რა ქუაა, შვილი ნახირიდამ გამოვიყვანო და სასწაულია თუ რაღაც ჯანჯაბა იქ წამოვაბრძანო? არა, შვილო, არა, ისევ გუთნი-დედობა ვასწავლო, ის აჯობებს: იმითი უფრო იშოვის ლუკმა-პურსა და უფრო დარჩება, უფრო გემრიელი პურის ჭამა ექნება, სინამ ქაღალდის სწავლითა. რა გლეხობის საქმეა სწავლა, „არა შეჯდა მწყერი ხესაო" ხო გაგიგიათ! მამაჩემს არ ცოდნია და პაპაჩემს ქაღალდი და ეხლა ჩემა შვილმა უნდა ისწავლოს?

— შენ რაღას ამბობ, ეი? რაო, რატომაც ვერ ისწავლიან? იმდენს ხო მაინც ისწავლიან, რო მტერს ორმოში გადაგდება უნდოდეს და იმან გაიგოს და თავი გადირჩინოს?

— არა, შვილო, არა!.

— არა და შენთვის იყავი. ვინ ქთხოვს მაინცა და მაინც შენი შვილი შკოლაში შეიყვანეო?

— აკი ჩემთვინა ვარ, კაცო! დედა... იქ ბიჭის მიმყვანს!

— ეხლა ჩვენთვინ ვიფიქროთ და ვთქვათ, მართებლობა რას დაჰდევს ამ ჩვენ ბიჭებს, რომ წურთნის თუ აქ სხვა რამე არ იყოს?!

— სხვა რა უნდა იყოს, კაცო?

— რაო და მითომ გავიგე სალდათებად უნდა წაისხანო ყველანიო, ვინც სასწაულში წავაო, მარამ მგონი ტყუილი უნდა იყვეს...

— რომელია ტყუილი? მა არ იცი, რო ყველა ლენკრუთში უნდა წაასხან?

— არა, შვილო, არა. მე დაკარგავი შვილები არა მყავს. ისევ შინ

ეყარნენ; თვალით მაინც არის უყურო.

— რა ვიცი, კაცო, თუ მართლა ეგრეა, რატო საცხენიდამ, ლალოდეხიდამ და თრუქუმიშოდამ კი არ მიჰყავთ ბიჭები? იქაც ეგრე სახემწიფო შკოლები არ არის?

— კარგი ერთი დადექი, ბევრი გაგეგება, რომ მიედ-მოედება რაღაცებს! რა იცი შენ, რომ არ მიჰყავთ?

— იიი! შენ რა დაგმართია, კაცო, ჯაჭვაბას წადი შენც და შენი შვილებიც, თვალი შენ დაგიდგა, ერთი შვილი გყავდა, ისიც დაჰღუპე, შკოლაში მიიყვანე, დღეს თუ ხვალ ვინ იცის სად წაიყვანენ, თორემ მე რა? ჩემი შვილი შინა მყავს, ვინ იკითხავს იმას!

— რაო? არ წაიყვანენ! ვინ გითხრა, რო შენ შვილსაც არ წაიყვანენ? შენ დაგიდგება მართლა თვალი, რომ შენ შვილს უბრალო მობატეთ ან მეზარგეთ დააყენებენ, თორე ჩვენი შვილები, ვინც სკოლაშია, უსადნიკებათ დაინიშნებიან, ჯამაგირი ექნებათ; თქვენი შვილები კი მოჯამაგირეებათ ეყრებიან.. ჩვენ შვილებ პატიოსნათ ქაღალდი ეცოდინებათ, გაწურთნულები იქნებიან, სულ დროშკაში უნდა ისხდნენ და ისე იარონ, თქვენმა შვილებმა კი უკონ უნდა დიონ.

— ჰო, თქვენ იმედი ქონდესთ, სამჯერ ეგრე თქვით! ვნახოთ, პატა მოიცადეთ. აბა ვიღაც ლევიზიორი არისო, რო ამბობენ, ეხლა მოვა თურმე, ვინც სკოლაშია სუყველას მაზარებს და პატარა თოფებს მოუტანს, აბა მაშინ ჩვენ ბიჭებ სად მოძებნიან, ნახირში იქნებიან...

აი, ამისთანა, უსაფუძლო აზრები ავრცელებენ აქ სოფლებში და რაღა თქმა უნდა, რომ გლეხიკაცს დიდის ხალისითა და სიამოვნებით არ მიჰყავს შვილები შკოლაში.

თ. ქორიძე.

## რუსეთი

რუსულ გაზეთს „ახალ დროებას“ გაუგონია, რომ მმართებლობას განზრახვა აქვსო, რომ, სამეურნეო იარაღების (მაშინების) ხალხში გასავრცელებლად, შემდეგი განკარგულება მოახდინოს: ა) დანიშნოს პრემია (საჩუქარი) იმ პირებისათვის, რომელნიც ან ამისთანა იარაღებს მოიგონებენ და ან მოგონილ იარაღების გასაკეთებლად ქარხანას გამართავს და იაფად ვაჭრის სოფლის ხალხზე; ბ) მისცეს სოფლის საზოგადოებას ფული სესხად, იაფის სარგებლით ან სულ უსარგებლოთ, იმისთვის, რომ ამგვარი სამეურნეო მაშინები შეიძინონ.

ამ საქმეში, როგორც ამბობენ, მმართებლობა რუსეთის ერობათაგანაც დიდს შემწეობას მოელისო.

* * *

ერთი ძლიერ კარგი აზრი მოსვლია იმ წერა-კითხვის კომიტეტს, რომელიც პეტერბურღის თავისუფალ-ეკონომიურ საზოგადოებასთან არის დაარსებული. კომიტეტს განუზრახავს ისეთი ამხანაგობის შედგენა, რომელიც საკმაო ფულს გამოიღებს და წიგნის ვაჭრობას გამართავს ისეთს იარმუკებზე, სადაც ჩვეულებრივად ბევრი სახალხო წიგნები ისყიდება. ამას გარდა კომიტეტს უნდა ან თავის ხარჯით დაიქირაოს და ან კომისიით მიანდოს წიგნები იმ პირებს, რომელთაც ზურგით დააქვთ სახალხო წიგნები და სოფელ-სოფელ დაიარებიან და ჰყიდიან.

* * *

რუსეთის ზოგიერთ სოფლის მალაზიებში პური ფუჭდება დიდი ხნის შენახვისაგან და ამის გამო, როცა გლეხები სესხულობენ ამ მალაზიებიდამ ხორბალს და სთესენ, ძალიან ცუდი პური მოსდისთ. ამ გარემოებამ მიიქცია ერობის ყურადღება და ახლა, როგორც ამბობენ, მოლაპარაკება არის იმაზე, რომ სოფლის მალაზიებში პური დიდხანს არ გააჩერონ, როცა შეატყობენ, რომ ფუჭდება, იმწამსვე გაჰყიდონ ან თვითონ გლეხებმა წაიღონ და ნაცვლად კარგი პური იყიდონ. ამას გარდა, ამბობენ, რომ თუ ხორბალს კოდლი მოხვდა, დიდხანს შეინახებაო; ეს საშუალებაც უნდათ გამოსცადონ.

* * *

ფინლიანდიის პარლამენტის (სეიმის) მომავალმა კრებამ, როგორც რუსულ გაზეთები გვაცნობენ, სხვათა შორის, ერთი მძიმე საგანი უნდა განიხილოს: ეს საგანი არის საყოველთაო სამხედრო დადასახადი (ე. ი. რიგი — თუ როგორ და რამდენი ჯარი უნდა მოკრიბოს რუსეთმა ფინლიანდიაში). ამაზე, როგორც ზევით მოგახსენეთ, თვითონ ფინლიანდიის ხალხის წარმომადგენელთ კრებამ უნდა მოილაპარაკოს და წარუდგინოს მთავრობას თავის გადაწყვეტილი აზრი.

## უცხო ქვეყნები

**ოსმალეთი.** ახალ სულთანს მურად-ეფენდის მიტჰად-ფაშისთვის მიუნდვია ოსმალეთისათვის ახალი სახელმწიფო წესის (კონსტიტუციის) შედგენა. გაზეთები გვაცნობებენ, რომ, სულთანის აზრით, ისეთი ნაციონალური რჩევა უნდა დაწესდეს სტამბოლში, რომელსაც მინდობილი ექნება არა პოლიტიკური საქმეები, არამედ მარტო ფინანსიური ე. ი. სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის განხილვა და ხარჯის დადების გადაწყვეტა.

— კატაროდამ გაზეთ „კავკაზს“ მოუვიდა დეპეშა, რომ განდგომილებმა ოსმალეთის მმართებლობასთან მოლაპარაკებაზე უარი განაცხადესო, რადგან იმის დაპირებას ჩვენ აღარ უჯერითო.

—

**გერმანია.** 2 ივნისს გერმანიის იმპერატორი ვილჰელმი ემსში მისულა; ამ ქალაქში იმყოფება ამ ჟამად ჩვენი იმპერატორიც, რომელსაც სანამ რუსეთში დაბრუნდებოდეს, განზრახვა აქვს თურმე, რომ ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსიფი ნახოს.

## განცხადებანი

**ყმაწვილ კაცს**, რომელსაც მეოჯახეობა შეუსწავლია სამზღვარ გარეთ, სურს მამულის მართველის ადგილი იშოვოს.

დაწვრილებითი პირობები შეიძლება შეიტყოს „დროების“ რედაქციაში.

უფ. სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში იბეჭდება [illegible] ხანში გამოვა ქართული [illegible]

**სახარება**

**ფასი — ერთი აბაზი**

ეს სახარება რამდენიმე ათასი იბეჭდება, წმინდა ასოებით, თეთრს ინგლისურს ქაღალდზე. მყიდველს შეუძლიან პირ და-პირ სტ. მელიქიშვილის სტამბიდამ დაიბაროს. გამოსვლისათანავე, ყველა ჩვენს უეზდის ქალაქებში და ზოგიერთ სოფლებშიაც გაიგზავნება გასასყიდლად.

(3—1)

**ქუთაისში** გუბერნიის სტამბაში იბეჭდება **რუსული ენის დასაწყისი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის** — შედგენილი გ. ქალანდარაშვილის მიერ.

**იქვე ისყიდება**

1) მიხაილოვის (ქუთაისის) თავად-აზნაურობის სადგილ-მამულო **ბანკის წესდება** — ფასი **ერთი აბაზი.**

2) **ქართული გრამმატიკა** — შედგენილი პლ. იოსელიანისაგან. ფასი — **სამი აბაზი.**

3) **ისტორია საქართველოსა** — საქართველოს მეათ-ცამეტის მეფის გიორგის ძის თეიმურაზისა.

აგრეთვე სხვა ბევრი ქართული და რუსული წიგნი, რომელიც კი მოსწავლეებთათვის საჭიროა. (4—1)

**LA VELOUTINE**

**(ველუტინი)**

ერთნაირი ბრინჯის **პუდრი** (უმარილო), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკვრება და არა სჩანს.

შ. ფაი — გამომგონი.

**pommade satin**

**(ატლასის პომადა)**

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—36

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | 9 | 36 | 4 | 54 | | | | |
| მცხეთა | — | — | — | — | - | 68 | - | 38 |
| გორი | 12 | 21 | 8 | 41 | 2 | 40 | 1 | 23 |
| ხაშური | 2 | — | 11 | 10 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი | — | — | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | — | — | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი | 8 | 23 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | — | — | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 11 | 44 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 8 | 40 | | | | | | |
| ახ.-სენაკი | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | — | — | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი | 11 | 51 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | — | — | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი | — | — | ღამე | | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 41 | 1 | 6 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 23 | 3 | 6 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | — | — | | | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი | 10 | 16 | 7 | 24 | 9 | 75 | 5 | 42 |

### ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ — შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს — კვირაობით, დილას.

ბ) ოდესიდამ:
ფოთისკენ — ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე

| ფოთიდამ: | I | | II | | III | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოხუმამდი | 4 | „ | 3 | „ | 1 | „ |
| ქერჩამდი | 20 | 50 | 15 | 50 | 5 | „ |
| ტაგანროგ. | 34 | „ | 27 | „ | 8 | 60 |
| ოდესამდი | 38 | „ | 30 | „ | 9 | 60 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) ტფილისიდამ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ. და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:
ტფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.

გ) გორიდამ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 2 თიბათ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 32 პენსი. | — | 84 |
| პარიჟში 334 სანტიმი. | — | 89 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 100 | 25 |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 203 | — |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 201 | 75 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | 94 | — |
| ხერსონის ბანკის (5 1/2) | 88 | — |
| მოსკოვის (5%) | 86 | 75 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 172 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | 139 | 50 |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 530 | — |
| კავკაზის და მერკურის | 168 | — |
| პირვ. საზღვევ. საზოგ. | 665 | — |
| პეტერბ. საზღვევ. საზ. | 263 | — |
| მოსკოვის საზღვევ. საზ. | 257 | 65 |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ტფილისი, 5 თიბ. თ. | | |
| პური შოთაგალის ფთ. | — | 80 |
| ქერი ფუთი. | — | 60 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 5 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი. | 6 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფთ. | 8 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფთ. | 7 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური გრ. | 2 | 60 |
| ქონი, ფუთი. | 4 | — |
| ქონის სანთელი ფუთი. | 5 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 10 | 20 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 60 |
| — ცხვრისა, ლიტრა. | — | 70 |
| სპირტი, ვედრო. | 6 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 10 |
| — ფხვნილი ფუთი. | 6 | — |
| ყავა, გრგვალი ფუთი. | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა ფ. | 5 | 50 |
| ოქრო 1/2 იმპერიალი. | 6 | 18 |

Дозволено цензурою. Тифлисъ. 6 Іюня 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.